

# დოლარი ვარდება...

## რატომ არ იწევს იმპორტზე ფასები?

გაზეთი „ალია“ – 29-30 ივლისი, № 90, 2008

წინა კვირას თურქეთის პროვინცია ყარსში შედგა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პრეზენტაცია. ეკონომიკური ექსპერტების ნაწილი ამ პროექტს დადებითად აფასებს, ნაწილი კი უარყოფით შედეგებზეც ამახვილებს ყურადღებას. კონკრეტულად, რა დადებით და უარყოფით შედეგებს მოიტანს ეს პროექტი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის?

გარდა ამისა, „ალია“ დაინტერესდა დოლარისა და ლარის კურსის თანაფარდობის შემცირებით, ფულის ბაზარზე არსებული მდგომარეობით და დოლარის კურსის ვარდნით გამოწვეული შედეგებით. ყველა ამ საკითხზე „ალიას“ ესაუბრება დამოუკიდებელი ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ლადო პაპავა:

– პირველ რიგში, მთავარია ის, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი ხელს უწყობს რეგიონულ ინტეგრაციას აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მიიღეს პრინციპული გადაწყვეტილება ნავთობსადენებისა და მილსადენების მშენებლობაზე. დღეს რეალურად არის იმის ეკონომიკური ინტერესი, რომ ტვირთნაკადები მოძრაობდნენ ამ სატრანსპორტო დერეფნის გავლით და არა მხოლოდ ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება ხორციელდებოდა, არამედ სხვადასხვა სახეობის ტვირთისაც. ამ თვალსაზრისით, რკინიგზის ტრანსპორტი გამორჩეულია და დიდი წარმადობის მქონეც. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროექტის განხორციელებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, ეს პროექტი არის როგორც ეკონომიკურად გამართლებული, ასევე გეოსტრატეგიულიც.

– ამ მაგისტრალის წლიურ ბრუნვად დასახელდა 12 მილიონი დოლარი, ხოლო თავად პროექტზე 600 მილიონი იხარჯება. ეკონომიკური გათვლებით, ეს მაგისტრალი რამდენ ხანში უნდა გახდეს რენტაბელური?

- სამწუხაროდ, მე ამ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა ოფიციალურად საჯაროდ არაერთხელ თქმულა, რომ პროექტი ფინანსურად დასაბუთებულია.

- გადავიდეთ სხვა ეკონომიკურ საკითხებზე. თითქმის ყოველდღიურად დოლარის კურსი მცირდება ლართან მიმართებით. ფაქტია, რომ ეროვნული ბანკი კურსს ხელოვნურად აჩერებს, თორემ ლარისა და დოლარის შეფარდება გაცილებით ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე არის. თქვენი შეფასებით, რამდენადაც მართებული პოლიტიკაა ეს ეროვნული ბანკის მხრიდან?

- აბსოლუტურად მართებულია, რადგან ეროვნული ბანკი რომ არ ერეოდეს კურსის დარეგულირებაში, დოლარი მყისიერად ჩამოვარდებოდა ლართან მიმართებით, რაც, პრაქტიკულად, ნიშნავს ეკონომიკურ კოლაფსს, ანუ ქვეყანაში წარმოება, როგორც ასეთი, გაჩერდება. ის, რომ ეროვნული ბანკი ცდილობს დოლარის ვარდნა იყოს არა მყისიერი, არამედ ნარნარი, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა.

- მაგრამ ეროვნულ ბანკს აქვს კონკრეტული რაოდენობის დოლარის მასა, რომელიც ლართან მიმართებით არის 1,4 შეფარდებით? როცა იკლებს დოლარის კურსი, ეროვნული ბანკი, ანუ სახელმწიფო, არ განიცდის მნიშვნელოვან ზარალს?

- ასე არ არის. დოლარის გაუფასურებას ორი მიზეზი აქვს: პირველ რიგში, დოლარის გაუფასურება ხდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში, ანუ ეს საერთაშორისო პრობლემაა. ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში შემოდის ძალიან დიდი რაოდენობის დოლარი, ერთი მხრივ, ინვესტიციების, ხოლო მეორე მხრივ, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ფულადი გზავნილების სახით. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში უფრო სწრაფად იზრდება დოლარის მასა, ვიდრე - ლარის. თუ ეროვნული ბანკი არ შეისყიდის შემოსულ დოლარებს, დოლარი კიდევ უფრო მეტად დაეცემა ლართან მიმართებით. ამიტომაც ეროვნული ბანკი დოლარის გარკვეულ მასას ყიდულობს და ამით ზრდის რეზერვებს. მართალია, ასე ხელს უწყობს ინფლაციას, მაგრამ აქ მიდის გარკვეული „თამაში“ ისე, რომ „არც მწვადი დაიწვას ძალიან და არც - შამფური“. პარალელურად უშვებს სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომელთა გაყიდვითაც კომერციული ბანკებიდან ფულის ამოღებისა და ინფლაციის ნაწილობრივ მოთოკვას

ცდილობს. რაც შეეხება მოგებასა და წაგებას, სახელმწიფო იგებს საგარეო ვალების მომსახურებაში. თუ მიაქციეთ ყურადღება, 2008 წელს 53 მილიონი ლარით შემცირდა საგარეო ვალების მომსახურება. იმიტომ კი არა, რომ საგარეო ვალი შემცირდა, სახელმწიფოს საგარეო ვალი აღებული აქვს დოლარში, ხოლო ეს თანხა, ლარებში გამოხატული, გაგვიიაფდა. უარყოფითი კი რაც არის, ეს ინფლაციაა, მაგრამ ეს რომ მოითოკოს, ქვეყნის შიდა ბაზარზე უფრო აქტიურად უნდა მოქმედებდეს მთავრობა, რომელიც უნდა ატარებდეს ანტიინფლაციურ ღონისძიებებს. კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს ამისთვის, ჩვენ ამაზე არაერთხელ გვისაუბრია. მეორეც, მთავრობას უნდა ჰქონდეს პროფიციტული ბიუჯეტი და არა ფსევდოპროფიციტული, რომელსაც დღეს ის აკეთებს, ანუ ბიუჯეტი, სადაც საგადასახადო შემოსავლები აღემატება ხარჯებს.

**– ჩვენთან როგორ არის? ანუ, ზოგადად, შემოსავლები აღემატება ხარჯებს?**

– დიას. აი, მაგალითად, მთავრობამ 500 მილიონი დოლარით გაზარდა საგარეო ვალი. ეს ბიუჯეტში აისახება, მაგრამ ის ხომ არ არის საგადასახადო შემოსავალი? ჩვენთან პროფიციტს განსაზღვრავენ არა საგადასახადო შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობით, არამედ საერთო შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობით, რაც, რა თქმა უნდა, ეკონომიკური შინაარსით შეცდომაა.

– ჩვენი ეკონომიკა, ძირითადად, დამოკიდებულია იმპორტზე. გარდა იმისა, რომ კონკრეტული დასახელების ძალიან ბევრი საქონელი იმპორტირებულია, აქ წარმოებული ძალიან ბევრი პროდუქცია იმპორტირებული ნედლეულით მზადდება. ამ თვალსაზრისით, დოლარის კურსის შემცირება ჩვენს ეკონომიკაზე, გარკვეულწილად, დადებითადაც უნდა აისახებოდეს და ფასების შემცირებას უნდა უწყობდეს ხელს. რეალურად კი ასე არ ხდება. რა არის ამის მიზეზი?

– მართალი ბრძანდებით, დოლარის გაიაფება იმპორტს აიაფებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენს სინამდვილეში იმპორტი იაფდება იმპორტიორებისთვის და არა მომხმარებლისთვის: ბაზარზე ფასი არ მცირდება, მაგრამ იზრდება იმპორტიორების მიერ მიღებული შემოსავლები და შესაბამისად, მოგებაც. ასე რომ, პრაქტიკულად, იმპორტის გაიაფება ხელს უწყობს იმპორტიორთა გამდიდრებას და არა ფასების შემცირებას.

– მაგრამ, როცა არის რამდენიმე იმპორტიორი, კონკურენციისას ხომ ავტომატურად უნდა შემცირდეს ფასები?

– კონკურენციისას მართლაც უნდა მოხდეს ფასების შემცირება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა და ჯერ კიდევ 2007 წლის შემოდგომაზე საქართველოში მონოპოლიების ჩამოყალიბების ტენდენცია ქვეყნის პრეზიდენტმაც კი აღიარა. მონოპოლიების დროს კი კონკურენცია იზღუდება და აქედან გამომდინარე, ფასები არ მცირდება. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქვეყნის განვითარება და მით უმეტეს, ჩვენნაირი მცირე მასშტაბის ქვეყნის, ორიენტირებული უნდა იყოს ექსპორტის და არა იმპორტის სტიმულირებაზე. თუმცა ნორმალურად ფუნქციონირებადი ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბება აუცილებელია...

**დიმიტრი ტიკარაძე**